გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 12
(11 571)

15 – 18 თებერვალი, 2002 წ.  ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

SALT LAKE 2002

# სოლტ ლეიკ სითი

## XIX ზამთრის ოლიმპიური თამაშები

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე სოლტ ლეიკ სითიდან გვატყობინებს

### ვახტანგ მურვანიძე ფინალშია...

პირველი მოციგურავე საქართველოდან ვახტანგ მურვანიძე, რომელიც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს, მსოფლიოს იმ 30 უძლიერეს სპორტსმენს შორის მოხვდა, რომელთაც ოლიმპიადაში ბრძოლის გაგრძელების უფლება მიეცა. ეს უკვე თავისთავად დიდი მიღწევა იყო და ახლა, უპირველესად ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა, მიზნად უსახავდა ფინალში გასვლას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვახტანგი მოკლე პროგრამის შესრულებით 24 საუკეთესოში უნდა დამკვიდრებულიყო.

აქ ჩვენი ოლიმპიელი პირველ ჯგუფში მეხუთე გამოვიდა ყინულზე. სამწუხაროდ, პირველივე რთული ილეთის შესრულებისას, ჰაერში რამდენჯერმე შემოტრიალების მერე ყინულზე დაშვებისას, თავი ვერ შეიკავა და დავარდა, მაგრამ შემდეგ ისე კარგად შეასრულა ყველა მოძრაობა და კომპოზიცია ისეთი შთამბეჭდავი იყო, ცუდი შეფასება არ მიუღია. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო სხვების გამოსვლებზე.

რთულ პროგრამაში რამდენიმეს ხელი მოეცარა და ვახტანგი მათზე წინ აღმოჩნდა. ასე რომ, პროგრამა მინიმუმი შესრულდა, ვახტანგმა შეჯიბრება მე-18 ადგილით დაამთავრა, რაც ურიგო სულაც არ არის. ფინალში სავალდებულო პროგრამის შესრულებისას, თუ კიდევ წინ წაიწევს, უკეთესი იქნება.

„მე მიმაჩნია, რომ ვახტანგისთვის, და, საერთოდ, ჩვენთვის, ყველასთვის, გნებავთ ქვეყნისთვის, ეს უკვე დიდი მიღწევაა. ახლა ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ვნახოთ ფინალი რას მოგვიტანს“ – გვითხრა ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა, პირველმა ქართველმა მოციგურავემ ირაკლი ჯაფარიძემ.

### რა იყო ეს, გარიგება თუ ინტრიგა?

ასეთი შეკითხვით დაიწყო პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ფიგურულ სრიალში წყვილთა ასპარეზობის შედეგებს. შემდეგ კი იგივე შეკითხვა კიდევ მრავალგზის გაისმა ჟურნალისტებით სავსე დარბაზში. ვინ უფრო ძლიერი იყო, რუსთა თუ კანადელთა წყვილები?

შეჯიბრებისას მაყურებელთა სიმპათიები კანადელთა მხარეს იყო. გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ეკუთვნოდა მსაჯებს. მათ კი უძლიერესად აღიარეს რუსეთელთა დუეტი. დარბაზი აგუგუნდა, მაყურებელმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა, მაგრამ ამით, ცხადია, არაფერი შეიცვლებოდა.

ბერეჟნაია-სიხარულიძისა და კანადელთა წყვილები ბოლო, მეოთხე ჯგუფში გამოდიოდნენ. ჯერ კიდევ მოთელვისას მოხდა ინციდენტი, რასაც შეეძლო მედლებისათვის მებრძოლი



ვახტანგ მურვანიძე

ორი წყვილი თითო პარტნიორის გარეშე დაეტოვებინა.

ის იყო მოთელვა მთავრდებოდა, რომ სრული სიჩქარით მოსრიალე კანადელი გოგონა სიხარულიძეს შეეჯახა. ორივე უხერხულად დავარდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ წყვილს შორის მეტოქეობა ჩვეულებრივად გაგრძელდა. ჯერ რუსეთელთა დუეტი გამოვიდა არენაზე. ბოლოს კანადელები – სალე-პელეტიერი. მერე რა მოხდა, ზემოთ უკვე გიამბეთ.

დავუბრუნდეთ პრესკონფერენციას. რუსეთის წარმომადგენელი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე არ მოვიდა და ალბათ სწორიც იყო. სამაგიეროდ, კანადელთა დელეგაციის ხელმძღვანელს მოუხდა ყველა შეტევის მოგერიება. ჟურნალისტები ვერ მალავდნენ აღშფოთებას არბიტრთა არაობიექტურობის გამო. ისინი აცხადებდნენ, რომ ოლიმპიადის მსაჯობაში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა კორუფციამ და ფარულმა გარიგებებმა, რის საფუძველს, მსაჯთა პირადი სიმპათიებიდან გამომდინარე, ფიგურული სრიალიც იძლევა, რასაც კარგად იყენებენ ფარული გარიგებებისათვის.

ერთ რეპორტიორს ხელში ეჭირა წინა დღის რომელიღაც ამერიკული გაზეთი, სადაც წინასწარ გარიგებების ფონზე, ზუსტად ისეთი თანმიმდევრობით იყო განაწილებული ადგილები, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო აღაშფოთა დამსწრენი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქვემოთ მოკლედ გაგაცნობთ კანადელთა დელეგაციის პასუხებს ჟურნალისტთა შეკითხვებზე:

– რა თქმა უნდა, როგორც რუსეთის, ისე კანადის წყვილები დღეს ზენიტში არიან და ორივეს შეეძლო ოლიმპიური ოქროს მედლების მოპოვება, მაგრამ ახლა უძლიერესი, საერთოდ, და არა მსაჯთა შეფასებით, იყო კანადელთა წყვილი;

– მზადდება ტექსტი და აუცილებლად მოვითხოვთ იმის დეტალურ გამოძიებას საერთაშორისო ფედერაციისგან თუ რა მოხდა და რატომ;

– სოლიდარობის ნიშნად, ჩვენთან ბევრი დელეგაცია მოვიდა ოლიმპიურ სოფელში. გაჩნდა მსხვილი შრიფტით წარწერები მსაჯების წინააღმდეგ, მაგრამ ახლა არ ღირს მომხდარის დრამატიზირება, მით უფრო, რომ თავად სპორტსმენები არანაირ კომენტარს არ აკეთებენ;

– თუ დადასტურდება, რომ მსაჯები მოსყიდული იყვნენ, რაც ძნელი დასადგენია, მაშინ სოკ-ი და საერთაშორისო ფედერაცია მიიღებს ერთობლივ გადაწყვეტილებას, თუმცა მსაჯების შეცდომის გამო, ოლიმპიადის შემდეგ მედლების ჩამორთმევის პრაქტიკა ჯერ არასდროს დაფიქსირებულა, მაგრამ მკაცრ ზომებს კი, ალბათ, მიიღებენ.

– გეთანხმებით, რომ გადასასინჯია მსაჯთა შერჩევის პრინციპი. როგორც ჩანს, გეოგრაფიული მიდგომა ვერ ამართლებს. ამ შემთხვევაში ოთხი ევროპელი იყო 9 არბიტრიდან და იქნებ ესეც გახდა ასეთი გაუგებრობის მიზეზი...

### ისევ ფინალის მიღმა

ორიოდე სიტყვით „მფრინავ მოთხილამურეთა“ ბოლო სტარტების შესახებ. 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კახაბერ წაქაძემ ვერაფრით გამოიჩინა თავი („ლელო“ ამის შესახებ უკვე წერდა – იგი მესამე ათეულშიც კი ვერ მოხვდა). ყველას ძალიან გვინდოდა ერთგვარი კომპენსაცია 120-იანიდან შეჯიბრებისას მოეხდინა. სამწუხაროდ, ბედმა არც ამჯერად გაუღიმა. არადა, ვფიქრობ, ამ 33 წლის სპორტსმენისთვის, ეს იყო უკანასკნელი ოლიმპიური თამაშები...



# „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელებს შეერკინებიან

**16 თებერვალს**, ლისაბონში, თბილისის დროით 19 საათზე გაიმართება ევროპის ერთა თასის მორიგი ტურის მატჩი, რომელშიც საქართველოს მორაგბეთა ნაკრები პორტუგალიელებს დაუპირისპირდება. მოგეხსენებათ, აღნიშნული შეჯიბრის წლევანდელი გათამაშება „ბორჯღალოსნებმა“ ჰოლანდიელებთან რეკორდული ანგარიშით (88:0) გამარჯვებით დაიწყეს. კლოდ სორელი გამარჯვებას გეგმავს პორტუგალიელებთანაც, რომლებიც წინა ტურში 27 ქულის სხვაობით დამარცხდნენ საქართველოს ნაკრების უმთავრეს კონკურენტთან – რუმინეთის ნაკრებთან.

„ბორჯღალოსნებმა“ 12 თებერვლის მატჩისათვის მზადება გუშინ დაიწყეს. გუნდს კვლავ დაუბრუნდნენ ტრავმირებული მოთამაშეები. ვასილ კაცაძე და ირაკლი აბუსერიძე. აგრეთვე ტარიელ რატიანიძე და გია ლაბაძე, რომლებმაც დისკვალიფიკაციის გამო, წინა მატჩი გამოტოვეს. სამწუხაროდ, ლისაბონში საქართველოს ღირსებას ვერ დაიცავენ ტრავმირებულები ვასილ აბაშიძე და გრეგუარ იაშვილი.

გაგაცნობთ კლოდ სორელის მიერ გამოძახებულ მორაგბეთა სიას:

**უკანა ხაზის მოთამაშეები:** შოთა მოდებაძე (ნიმი), გუჯა იოვაძე (აგდი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ვასილ კაცაძე (გრენობლი), თედო ზიბზიბაძე (მაზამე), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი). ირაკლი აბუსერიძე (ლოკომოტივი), კახა ალანია (ლოკომოტივი).

**მოწინავეები:** მევლუდ მთიულიშვილი (აჟანი), გოდერძი შველიძე (ბეზიე), ლევან ცაბაძე (კასტრი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში), ვიქტორ დიდებულიძე (ნიმი), ვანო ნადირაძე (ბრესი), დავით ბოლღაშვილი (მაზამე), გია ლაბაძე (ტულონი), ილია ზედგინიძე (ტულონი), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი).

აქვე გეტყვით, რომ აქამდე ქართველები და პორტუგალიელები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 1997 წლის 19 აპრილს ფირას პირველობაზე, ლისაბონში, პორტუგალიელე-

იხ. მე-3 გვ.

## მილოცვები



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოში **დავით ხახალეიშვილს.**

* * *

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია და ვეტერანი ველოსპორტსმენები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ დამსახურებულ მწვრთნელს **ავთანდილ ხახიაურს.**

## საგზურები გაინაწილეს

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა როგორც გოგონებს, ისე ვაჟთა შორის. აღნიშნულ ტურნირს ინტრიგას მატებდა ის, რომ გამარჯვებული მოჭადრაკეები მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლებას მიიღებდნენ, ხოლო მეორე ადგილოსნები – ევროპის ჩემპიონატში ითამაშებდნენ.

გოგონათა შორის 9 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ბათუმელმა სალომე მელიამ (მწვრთნელი ლონია ნეჟერონოვი) და თელაველმა ბელა ხოტენაშვილმა (მწვრთნელი თამარ ხმიადაშვილი). ყველაფერი კოეფიციენტმა გადაწყვიტა: მელიას მსოფლიო პირველობის საგზური ხვდა წილად, ხოტენაშვილს კი – ევროპის.

ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა თბილისელმა ლევან ფანცულაიამ (მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავა), რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა და მოიპოვა უფლება, იასპარეზოს მსოფლიო პირველობაზე. ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელის ბედი კი კვლავ კოეფიციენტმა გადაწყვიტა: 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს, სოხუმელ დავით ზარქუასა (მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა) და ბათუმელ მიხეილ გოგუაძეს (მწვრთელი ლონია ნეჟერონოვი) შორის უკეთესი კოეფიციენტი სოხუმელ მოჭადრაკეს აღმოაჩნდა.

## ამხანაგური მატჩები




ესპანეთი — პორტუგალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 6 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშები 8–24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

ასპარეზობების დამთავრების შემდეგ, ყოველდღიურად, საკმაო დრო გვრჩება ნაცნობ-მეგობრების მოსანახულებლად, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად და ჩვენც, მაქსიმალურად ვიყენებთ კალენდრის ამ სიკეთეს, სანახავი კი მართლაც ბევრია. ზოგჯერ საინტერესო ამბებშიც კი „ვეხვევით“. აი, ზოგი მათგანი.

## როგორ გავხდი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი...

თამაშების პრეს-ცენტრში გახარებული „ნაცნობი“ ქალი შემხვდა, ადრე, როდესღაც, რომელიღაც ქვეყანაში ერთად ვყოფილვართ საბჭოთა ჟურნალისტთა დელეგაციაში.

– რა კარგია, რომ გნახეთ! – მეუბნება, – დღეს რუსული სახლის გახსნის პრეზენტაციაა და დამავალეს, რომ თქვენი ჯგუფი სამ საათზე იყოს ამ ღონისძიებაზე.

რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადე. ამიხსნა, სად უნდა მივსულიყავით. განშორებისას დამამუნათა და დასძინა:

– ნიკოლაი ნიკოლაევიჩ! ძალიან გთხოვთ, არ დაგვაღალატოთ!

გავვოცდი, – კი მაგრამ, მე ხომ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი არა ვარ! – თურმე OPT-ს ჯგუფის ხელმძღვანელი ვეგონე და გადაღებისთვის იწვევდნენ. მომიბოდიშა და გამშორდა. მე კი, გაოცებული დავრჩი. ნეტა მაინც რით მიმამგვანა იმ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ან ამდენ საუბარში ქართულ აქცენტში მაინც რატომ არ შეეპარა ეჭვი?

## მახინჯაურის ხატრით – ცათამბჯენზე...

სოლტ ლეიკში ერთადერთი ცათამბჯენია და ისიც, როგორც ყველა თვალსაჩინო ნაგებობა, მორმონებისაა: ახლა ყველა სტუმრის ოცნებაა ამ შენობის სახურავიდან გადახედოს ქალაქს და სპორტულ ობიექტებს. მაგრამ იგი 5 თებერვლიდან 25 თებერვლამდე დაკეტილია გასაგები მიზეზების გამო.

მორმონტ ცენტრში ორი რუსი ჟურნალისტი ესაუბრება ცენტრში მომუშავე, რუსული ენის მცოდნე ქალს, შეკითხვებს აძლევენ. მე ჩემს რიგს ველოდები. შეეკითხნენ: შეიძლებოდა თუ არა, როგორც გამონაკლისი, ცათამბჯენის სახურავზე ასვლა.

– არა. გამორიცხულია! კატეგორიულად მიუგო. რუსები დაგვშორდნენ.

– ახლა თქვენ გისმენთ, – საიდან ხართ?

საქართველო რომ ვახსენე, თვალები გაუბრწყინდა. მითხრა, რომ ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, დაუსვენია მახინჯაურში. ალბათ, ყოფილი საბჭოელი თუ იყო.

– თქვენ გინდათ ცათამბჯენზე ასვლა? – მეკითხება.

– კი, მაგრამ, რომ არ შეიძლება? – მივუგე მე.

– თქვენთვის შეიძლება! – მოკლედ მომიჭრა, და მთხოვა რამდენიმე წუთს დავლოდებოდი. – სახურავის გასაღებს მოვიტანო – გამაფრთხილა. მართლაც მოიტანა და წავედით. შენობა შორს არ იყო.

აღტაცებული ვიყავი სანახაობით, თანაც მზიანი დღე იყო. მაგრამ უფრო აღტაცებული დავრჩი ამ ქალის საქციელით, თუმცა გაკვირვებულიც: ასეთი რა წყენა ჰქონდა მას გამოყოლილი თავისი თანამემამულეებისაგან? საქართველოსთან დაკავშირებით კი, ყველაფერი ისედაც გასაგები იყო.

## ტექნიკური შედეგები

***11 თებერვალი. ბიატლონი. ვაჟები.*** (20 კმ რბენა და სროლა): 1. ო. ბიორდალენი (ნორვეგია) — 51.03,3 (ორი ტყვიის აცილება), 2. ფ. ლუკი (გერმანია) — 51.39,4, 3. ვ. მაიგუროვი (რუსეთი) — 51.40,6 (1). ქალები. (15 კმ რბენა და სროლა): 1. ა. ჰენკელი (გერმანია) — 47.29.1 (1), 2. ლ. პუარე (ნორვეგია) — 47.37,0 (1), 3. მ. ფორსბერგი — 48.08,3 (2).

***სნოუბორდი*** (ხაფპაიპი): 1. რ. პაუერსი — 46,1 ქულა, 2. დ. კასსი — 42,5, 3. ჯ. თომასი (ყველა — აშშ) — 42,1.

***სნოუბორდი. ქალები.*** 1. რ. პაუერსი — 46,1, 2. დ. კასი — 42,5, 3. ჯ. თამასი (ყველა — აშშ) — 42,1.

***ციგაობა. ვაჟები:*** 1. ა. ცეგელერი (იტალია) — 2.57,941, 2. გ. ჰაკლი (გერმანია) — 2.58,270, 3. მ. პროკი (ავსტრია) — 2.58,283.

***ფიგურული ხრიალი. წყვილები.*** 1. ე. ბერეჟნაია — ა. სიხარულიძე (რუსეთი), 2. ჯ. სგილი — დ. პელეტიე (კანადა), 3. სიუ შენი — ხაინგბო ჩაო (ჩინეთი).

***12 თებერვალი. ციგურებით რბენა. ვაჟები 500 მ.*** 1. კ. ფიტცრანდოლფი (აშშ) — 69,23, 2. ხ. შიმიზუ (იაპონია) — 69,26, 3. კ. კარპენტერი (აშშ) — 69,47.

***თხილამურებით რბენა. ქალები. 10 კმ.*** 1. ბ. სკარი (ნორვეგია) — 28.05,6 2. ო. დანილოვა — 28.08,1, 3. ი. ჩეპალოვა (ორივე — რუსეთი) — 28.09,9.

***ვაჟები. 15 კმ.*** 1. ა. ვეერპალუ (ესტონეთი) — 37.07,4, 2. ფ, ესტილო (ნორვეგია) — 37.43,4, 3. ი. მიაე (ესტონეთი) — 37.50,8.

***სამთო თხილამურები. ქალები. სწრაფდაშვება.*** 1. კ. მონტილე (საფრანგეთი) — 1.39,56, 2. ი. კოსტნერი (იტალია) — 1.40,01, 3. ი. ჰეტბლი (ავსტრია) — 1.40,39.

***ფრისტაილი. ვაჟები. მოგული.*** 1. ი. ლაპტილა (ფინეთი) — 27,97, 2. ტ. მეიერ... (აშშ) — 27,59, 3. რ. გაი (საფრანგეთი) — 26.91.

## ჩემპიონები, პრიზიორები




ო. ბიორნდალენი



ე. ბერეჟნაია-ა.სიხარულიძის წყვილი



სნოუბორდი. მარცხნიდან: დ. კასი, რ. პაუერსი და ჯ. თომასი







ი. ლაპტელა

ბ. სკარი

## თამაშების მოზაიკა

● გერმანელ მოციგავეს გ. ჰაკლს წინა სამ ოლიმპიადაში ბადალი არ ჰყავდა ერთადგილიანებით შეჯიბრებაში და XIX თამაშებს რეკორდის დამყარების იმედით ეწვია — მეოთხე „ოქროს“ მოპოვება დაიგეგმა. მაგრამ მას სოლტ ლეიკში „თვალის დახამხამებით“ — 0,329 წამით აჯობა იტალიელმა ა. ცეგელერმა. ჰაკლს გული არ გაუტეხია: „ამ ჯილდოს ვუძღვნი მამის ხსოვნას, რომელიც ამ ზამთარს გარდაიცვალაო“.

● იტალიელმა სამთო მოთხილამურემ კ. გუდინმა კვირას სწრაფდაშვებაში მარცხის (35-ე ადგილი), შემდეგ ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ აღარ აპირებს სუპერგიგანტსა და კომბინაციაში გამოსვლას და ურჩევნია მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის წინ ძალები აღიდგინოს.

**● ავსტრალიელმა ჯ. კუპერმა, რომელიც ფრისტაილში ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი იყო, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა და საავადმყოფოში ამოჰყო თავი.**

● იმის შიშით, რომ საჭმელში რაიმე ალმგზნები არ შეჰყვეს და სადოპინგო შემოწმების მსხვერპლი არ გახდეს, ამერიკელი ბობსლეისტი ტ. ჰეისი აგერ რამდენიმე დღეა მკაცრ დიეტაზე იმყოფება — სვამს წყალს, მიირთმევს მხოლოდ სალათეულსა და ქათმის ხორცს. არავითარ წამალს არ ეკარება, ვიტამინებსაც კი.

გიგანტური სლალომი (უწყვეტი ხაზი) და სნოუბორდის (წყვეტილი ხაზი) ტრასები



## ჩემპიონები, პრიზიორები



კ. მონტილე




ა. ჰენკელი




კ. ფიტცრანდოლფი



ა. ვეერპალუ

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

# სკანდალი გრძელდება

მსოფლიო პრესამ მოციგურავე წყვილთა ამბავი მიკერძოებული მსაჯობის მოტივით, სკანდალად აქცია. პირველ პრესკონფერენციას მეორე დილით ახალი პრესკონფერენცია მოჰყვა. ამჯერად უფრო მასშტაბური და ხმაურიანი. ჟურნალისტებმა აიძულეს მათთან შეხვედრაზე პრესცენტრში მოსულიყო საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იტალიელი ჩეკანტო და პასუხი გაეცა უამრავ შეკითხვაზე, რომელთა საერთო შინაარსი კვლავ არაობიექტური მსაჯობა და ფედერაციის უსუსურობა იყო. ჩეკანტომ თქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, კანადელებს ოფიციალური პროტესტი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ არაობიექტურ მსაჯობაზე ერთ-ერთ ამერიკელ მსაჯს შეუტანია საჩივარი, რომელიც გახდება ოფიციალური გამოძიების დაწყების საფუძველი. 18 თებერვალს გაიმართება საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს სხდომა, რომელზედაც ამ საკითხს საგანგებოდ განიხილავენ. საბჭოს ზოგიერთი წევრი აქ იმყოფება, დანარჩენები გამოიძახეს, რათა ქვორუმი სრულად იყოს. „საბჭო მოისმენს ექსპერტთა მოხსენებას და თუ დამატებითი გამოძიება არ გახდა საჭირო, თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს, დაადგენს მსაჯთა შეცდომები უნებლიე იყო თუ წინასწარგანზრახული. გაირკვევა რამდენად გამართლებულია მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბრალდება, თითქოს მსაჯებთან საიდუმლო გარიგებას მსხვერპლად შეეწირა კანადელთა წყვილის ჩემპიონობა." — თქვა ჩეკანტომ და ჟურნალისტებს იქით დასდო ბრალი არაობიექტურობაში, — „თქვენ ემოციებს ხართ აყოლილი, აყენებთ ბრალდებებს და კონკრეტული ფაქტები არ გაგაჩნიათ. მე არ გამოვრიცხავ, რომ მსაჯთა შორის მხარდაჭერა იცვლება მხარდაჭერაზე. ვინ ვის გაურიგდა, დამისახელეთ" — დასძინა ჩეკანტომ და ამ პასუხმა მთლად გადარია ჟურნალისტები. ჩიკაგოელმა ჟურნალისტმა პირდაპირ მიახალა: „თქვენ დიდი ხანია მუშაობთ პრეზიდენტად და იქნებ მიზეზები აქაც იმალება — ირგვლივ შემოკრებილი გყავთ თქვენი ხალხი, არ გინდათ დაასაქმოთ ნეიტრალური მსაჯები და ახლა ჩვენ გვთხოვთ დაგისახელოთ დამაშავენი ანუ ჩვენგან ითხოვთ იმას, რასაც მსოფლიო თქვენგან მოელის".

ჩეკანტოს, იტალიელთა სასარგებლოდ ადრე მსაჯების მიმართ მისი გულისწყრომაც გაუხსენეს, მაგრამ ყველაფერი უარყო. თავისი მხრიდან კი ჟურნალისტებს მსოფლიო ჩემპიონატი გაუხსენა, როცა კანადელთა გამარჯვება არ გაუპროტესტებიათ, არადა, იქაც შეიძლებოდა ბერეჟნაია-სიხარულიძის წყვილი უძლიერესი ყოფილიყო. მოკლედ, ფედერაციის თავკაცმა ისეთი ხაზი გაატარა, რომ საგანგებო არაფერი მომხდარა, მაგრამ რაკი საკითხმა ასეთი რეზონანსი შეიძინა, ფედერაცია იძულებულია, რეაგირება მოახდინოს...

# სოლტ ლეიკ სიტის ცხოვრების თავისებურებანი

ზამთრის ოლიმპიადის ქალაქში ცხოვრება უკვე გახდ. ამ დიდი სპორტული ფორუმის შესატყვისი და შესაფერისი. ხალისი იგრძნობა ყველგან. ტარდება კულტურული ღონისძიებანი. უამრავი ხალხი დადის სხვადასხვა გამოფენაზე, ქუჩებში სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადებზე უკრავენ პროფესიონალები, ხალხს ართობენ, როგორც თვითშემოქმედების ჯგუფები, ისე ინდივიდუალური მუსიკოსები. ქალაქში ბევრი ცხენშებმული ეტლი დადის, აგრეთვე ტრამვაი, გარდა ოლიმპიადის მომსახურე მანქანებისა, არანაირი ტრანსპორტი არ მოძრაობს და ქუჩები არაა გადატვირთული. ამერიკაში უკვე შეეჩვივნენ, რომ წესრიგის დასამყარებლად ყოველთვის აუცილებელი არ არის გამოსცე კანონები, საკმარისია თხოვნაც კი. მხოლოდ ასეთი თხოვნის შემდეგ არ გამოდიან ოლიმპიადის მასპინძლები მანქანებით ქალაქში თამაშების დღეებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ატლანტის ოლიმპიადისგან განსხვავებით, აქ ტრანსპორტით მომსახურება იდეალურია, არავითარი „საცობები", არავითარი დაგვიანება, წუთი-წუთზე მიგიყვანენ დანიშნულების ადგილზე. ეგ კია, ახლა სოლტ ლეიკი ალბათ ყველაზე ძვირი ქალაქია მსოფლიოში.

კატასროფულად ავარდა ფასები როგორც სასტუმროებში, ისე კვე ის ობიექტებზე. მაგალითად, ერთი საშუალო ზომის ვაშლი 3,5 დოლარი ღირს. ასეთივე ზომის ერთი ბანანი, თანაც დაუმწიფებელი, ჯერ ისევ მწვანე, ასევე 3,5 დოლარი. ერთი ცალი რაღაც გარგარის მსგავსი — 1 დოლარი, ოლიმპიური ბრელოკი 12-15 დოლარი, ქუდი — 26 დოლარი, მაისური — 30 დოლარი, სამკერდე ნიშანი — 5-7 დოლარი, კოლოფი „მალბორო" — 4 დოლარი, ფინჯანი ყავა — 2 დოლარი, ამდენივე ღირს წყალი პატარა ბოთლით. დიდად არ აუწევია ფასები მხოლოდ კოკა-კოლას. ერთი ქილა ეს სასმელი ჟურნალისტებისთვის ღირს ნახევარი დოლარი. საშინლად ძვირია საკვები, თანაც ქალაქში პროდუქტების მაღაზიები საერთოდ არ არის. ბენზინის გასამართ სადგურებში შეიძლება შეხვდე რამეს. ამბობენ, პროდუქტების ერთი დიდი მარკეტი ქალაქის განაპირას არისო. ხალხი თურმე ოჯახებში იშვიათად იკვებება, სამაგიეროდ, ყველა ფეხის ნაბიჯზეა კაფეები და რესტორნები, რომლებიც აქ საზოგადოებრივი კვების ობიექტების ფუნქციას ასრულებენ. რესტორნებში ქეიფი აქ საერთოდ არ იციან.

# „ბორჯღალოსნები" პორტუგალიელებს შეერკინებიან



კლოდ სორელი

(პირველი გვერდიდან)

ბმა „ბორჯღალოსნებს" 4 ქულის სხვაობით მოუგეს — 21:17, 2000 წლის 6 თებერვალს ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე ქართველმა მორაგბეებმა სტუმრადვე აიღეს რევანში — 32:30, შარშან გამართულ იმავე რანგის ტურნირში კი კლოდ სორელის შეგირდებმა საკუთარ მოედანზე უფრო დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეს — 36:12. ასე რომ, ხვალინდელი მატჩის მონაწილეთა ურთიერთ შეხვედრებში უპირატესობა ქართველების მხარესაა.

და ბოლოს, გაგაცნობთ სატურნირო მდგომარეობას:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | სხვ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +88 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 1 | 0 | +27 | 2 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +10 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -10 | 0 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -27 | 0 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | -88 | 0 |

სატურნირო ცხრილი შარშანდელი გათამაშების შედეგების გათვალისწინებით (რაც დებულების თანახმად, მსოფლიოს 2003 წლის თასის გათამაშების ორი საგზურის მფლობელის ვინაობის გამოსავლენადაა საჭირო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 6 | 6 | 0 | 0 | +187 | 12 |
| რუმინეთი | 6 | 5 | 0 | 1 | +154 | 10 |
| რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | +19 | 8 |
| ესპანეთი | 6 | 2 | 0 | 4 | -20 | 4 |
| პორტუგალია | 6 | 1 | 0 | 5 | -115 | 2 |
| ჰოლანდია | 6 | 0 | 0 | 6 | -215 | 0 |

თენგიზ ჩობანიძე



ს. ამანი



ს. ოტო

*ციგები. ქალები. ერთადგილიანი.* 1. ს. ოტო — 2.52.464, 2. ბ. ნიდერნჰუბერი — 2.52.785, 3. ს. კრაუსჰაარი (ყველა — გერმანია) — 2.52,865.

# ისევ ჩვენთანაა



ვაჟა ციხელაშვილი

წარსულში ცნობილ სპორტსმენს, ძალოსნობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს დმანისელ ვაჟა ციხელაშვილს 65 წელი შეუსრულდა. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტიც დაასრულა. ვაჟა 6 წლისა იყო მამა რომ გარდაეცვალა და ადრევე გვერდში ამოუდგა დედას უმცროსი და-ძმების აღზრდაში. მისი ძალოსნობით დაინტერესება განაპირობა ერთმა შემთხვევამ: 1955 წელს დმანისში გასტროლებზე იმყოფებოდა წარსულში ცნობილი საცირკო მსახიობი ძალისმიერ ნომრებში ლ. კახეთელიძე. ვაჟაც დაესწრო ამ სანახაობას.

ძალოსნობაში გეგმაზომიერი წვრთნა 1956 წელს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩარიცხვის შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატის, დამსახურებული მწვრთნელის – მამია ჟღენტის ხელმძღვანელობით გააგრძელა. ინსტიტუტი სპორტის ოსტატის წოდებით დაამთავრა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ნაკრებში. იყო თბილისისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი. ბატონ ვაჟას ბევრის მიღწევა შეეძლო სპორტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ნაადრევად მოუხდა აქტიური სპორტის მიტოვება. ერთხანს რაიონში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, 1976 წლიდან კი თბილისში გადმოვიდა და ჯერ ვაჭრობის სამინისტროში პასუხსაგებ თანამდებობებზე იყო, მერე – 1994 წლიდან სააქციო საზოგადოება „ელექტრონიკაშია", სადაც ამჟამად ამ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. ბატონი ვაჟა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ქართული ძალოსნობის ტრადიციების დამკვიდრება-განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 1985 წლიდან რესპუბლიკური ფედერაციის წევრი გახლავთ.

რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, დაბადების 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვ. ციხელაშვილი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სიგელით დააჯილდოვა.

შოთა ბუაძე,
საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

# მედლები, მედლები...

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 5 | 3 | 0 | 8 |
| 2. გერმანია | 4 | 6 | 2 | 12 |
| 3. აშშ | 3 | 5 | 2 | 10 |
| 4. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 5. იტალია | 2 | 1 | 0 | 3 |
| 6. შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 3 |
| 7. რუსეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| 8. ავსტრია | 1 | 1 | 7 | 9 |
| 9. საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 10. კორეა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 11. ნიდერლანდ. | 1 | 1 | 0 | 2 |
| 12. ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 13. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 14. კანადა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 15. პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 16. იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 17. შვედეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 18. ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 19. ჩინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 20. ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

# თამაშების მოზაიკა

**• მოციგავეთა შეჯიბრების ტრასის მომსახურე დ. სელფს ძვირად დაუჯდა თავდადება — სერიოზული ტრავმისაგან ეხსნა ვენესუელელი ი. ბოკალარდო, რომელმაც დაშვებისას ციგა ვერ დაიმორჩილა, გადმოვარდა, რამდენჯერმე კედელს შეასკდა და გონდაკარგული ციგის წინ ტრასაზე აღმოჩნდა. სელფი შეეცადა 30-კილოგრამიანი ციგა შეეჩერებინა და... საჩვენებელი თითის თითქმის ნახევარი დაჰკარგა, სპორტსმენი ქალი სხვამ იხსნა — ფეხისკვრით ააცილა ციგა, თუმცა, თვითონაც საგრძნობლად დაშავდა.**

• **სოკ-ის** ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ამჟამად მსოფლიოს ანტისადოპინგო კომიტეტის ხელმძღვანელის დ. პაუდას განცხადებით ბობსლეის ემუქრება ოლიმპიური თამაშებიდან ამოღება, ვინაიდან ამ სახეობის ფედერაციამ დისკვალიფიცირებული ს. პრუსისი სოლტ სიტის სტარტებში სასპარეზოდ დაუშვა. პაუდა ამავე აზრისაა წყვილთა ფიგურული ციგურაობის შესახებ ამ სახეობაში კორუფციის გაძლიერების გამო.

**• იუტას შტატის კანონი კრძალავს ქუჩაში ლუდის სმას და იგი 90-დღიან პატიმრობას ან 500 დოლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. ამ კანონმა, მრავალათასიანი თხოვნით მოქმედება შეწყვიტა ოლიმპიადის დამთავრებამდე. და, მაინც, ლუდს ქუჩაში მხოლოდ თამაშების სტუმრები თუ სვამენ, რადგან ადგილობრივები რისკზე ვერ მიდიან.**

• **სოლტ ლეიკ სიტის** ერთ-ერთმა გაზეთმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა იმის დასადგენად, თუ ქალაქის მცხოვრებნი რამდენად იცნობენ თამაშების პროგრამას — დაბეჭდა ჩრდილოეთის მოტოკროსზე, ყინულქვეშ ყვინთვასა და თოვლში მოჭიდავე ქალთა შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთები. პირველზე დასწრების მსურველი არავინ აღმოჩნდა. „მაყურებელი" ვერც მესამე შეჯიბრებამ მიიზიდა, სამაგიეროდ, ორმაგ ფასში გასაღდა „ჭიდაობის" ბილეთები?! შემოსული თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.

# ტექნიკური შედეგები

***13 თებერვალი. 120-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.*** 1. ს. ამანი (შვეიცარია) — 281,4 (140,5 და 140,9), 2. ა. მალიში (პოლონეთი) — 269,7 (137,3 და 132,4), 3. მ. ჰუტამიაკი (ფინეთი) — 256,0 (129,1 და 126,9).

***ბიატლონი. ვაჟები. სპრინტი. 10 კმ.*** 1. ო. ბიორდალენი (ნორვეგია) — 24.51,3, 2. ს. ფიშერი (გერმანია) — 25.20,2, 3. ვ. პერნერი (ავსტრია) — 25.44,4.

***ქალები. 7,5 კმ.*** 1. კ. ვილჰელმი — 20.41,4, 2. უ. დიზლი (ორივე — გერმანია) — 20.57,0, 3. მ. ფორსბერგი (შვეცია) — 21.20,4.

***შორტ-ტრეკი. ქალები. 1500 მ.*** 1. ჯინ ხუან კო — 2.31,581, 2. იუნ კიუნ ჩოი (ორივე — კორეა) — 2.31,610, 3. ე. რადანოვა (ბულგარეთი) — 2.31.723.

***სამთო თხილამურები. ვაჟები. კომბინაცია.*** 1. კ. ომოდტი (ნორვეგია) — 3.17,56, 2. ბ. მილერი (აშშ) — 3.17,84, 3. ბ. რაიპი (ავსტრია) — 3.18,26.

# დღეს ნაკრების მატჩების განრიგი გაირკვევა

დუბლინში შეიკრიბებიან ევრო-2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში შემავალი ნაკრებების წარმომადგენლები და მატჩების განრიგზე შეთანხმდებიან.

აბა, მერე ნახეთ შანსებზე სჯა-ბაასი, არა ასე სჯობდა, არა ისეო. მაგრამ ერთხელ მიღებულს, ბეჭედდადებულ კალენდარს ვერაფერი შეცვლის და საქართველოს ეროვნული გუნდი შემოდგომაზე პორტუგალიისკენ სავალ გზას დაადგება. ქართველი ჩივაძე, რუსი რომანცევი, ირლანდიელი მაკარტი, ალბანელი დემოლარი და შვეიცარიელი კუნი დასხდებიან და იმსჯელებენ. თითოეულს თავისი აზრი და შესარჩევი ეტაპის კალენდრის სასურველი ვარიანტი ექნება ხელთ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერჯერობით ყველას თანაბარი აქვს. და სანამ, უშუალოდ საფეხბურთო მინდორზე გაირკვევა X ჯგუფის ლიდერი თუ აუტსაიდერი, ჯერი დიპლომატიაზეა. კალენდრის საბოლოო ვარიანტზე ხუთეული თუ ვერ შეთანხმდა, უეფა აგერ არ არის... ის დაუდგენს თითოეულს ევრო-2004-ის შესარჩევი ციკლის მარშრუტს. ასე რომ არ მოხდეს და სხვისი შემყურე არ გავხდეთ, დიპლომატიასთან ერთად, საკუთარი პოზიციის დაცვაც გვმართებს. ვიმედოვნებთ, ქართული დელეგაცია, ჩვენი ფეხბურთის სარდლობა, თავისას გაიტანს და ეროვნულ ნაკრებს ბევრად თუ არა, მეტნაკლებად მაინც, მისაღები, მისი ძალისა და უნარის გათვალისწინებით შედგენილი მატჩების განრიგი ექნება.

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი**
1. ირლანდია
2. რუსეთი
3. შვეიცარია
4. საქართველო
5. ალბანეთი


ოთარ გაბელია


ანზორ მამალაძე

# პროცენტების ომი

თბილისურ „მერანში" დაბუდებულმა გაუგებრობამ პიკს მიაღწია. კლუბის აქციათა 75%-ის მფლობელმა რუსმა მეპატრონეებმა გუნდი კარგა ხანია ბედის ანაბარა მიატოვეს. გადაუხდელია ფეხბურთელთა და კლუბის მოხელეთა რამდენიმე თვის ხელფასები და პრემიები. საერთოდ, გუნდის მომავალი ბურუსითაა მოსილი. ფეხბურთელთა მდგომარეობაც გაუსაძლისია. ყოველივეს რუსების კატეგორიული მოთხოვნაც თან დაერთო: თანამდებობიდან გადააყენეს კლუბის ვიცე პრეზიდენტი ანზორ მამალაძე და მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია, მაგრამ რის საფუძველზე მიიღეს რუსებმა ასეთი გადაწყვეტილება, გაუგებარია. ოთარ გაბელიას განმარტებით, მათი ნაბიჯი უსამართლო და მიუღებელია. „თუ პარტნიორობაა, ჩამოვიდნენ, დაგველაპარაკონ, აგვიხსნან, რის საფუძველზე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რა იყო ამის წინაპირობა, კეთილი ინებონ და ჩვენი აზრიც გაიგონ და გაითვალისწინონ. ექსეულში შესვლას რომ ითხოვდნენ, კლუბი მესამე ადგილზეა. რა უნდათ, წესიერად გაგვაგებინონ". — აცხადებს ოთარ გაბელია. მწვრთნელი მართალიცაა. შორიდან ბრძანებების გაცემა ადვილია, თანაც პარტნიორთა შეხედულებების გაუთვალისწინებლად. კლუბის საქართველოში დარჩენილ მეწილეებსა და პატრონებს მაინც საღი აზრის გამარჯვების იმედი აქვთ და თუ მათი, ისედაც გამწვავებული ურთიერთობა რუს კოლეგებთან, კიდევ უფრო, არ გაუარესდა (თუმცა ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს), ეროვნულ ჩემპიონატს „მერანი" არ გამოაკლდება.

ანზორ მამალაძე და ოთარ გაბელია ფარხმალს არ ყრიან, პირიქით, თავიანთი სიმართლის დამტკიცებასაც შეეცდებიან, და ამ სტრესულ ვითარებაში გუნდსაც ამზადებენ. „მერანი" ვარჯიშობს და საკონტროლო მატჩებსაც ატარებს. ავჭალელთა მორიგი მეტოქე საქართველოში სტუმრად მყოფი აზერბაიჯანული „შაფა" იქნება.



## მსაჯები ევროპულ სარბიელზე

ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილი და ფიფას ასისტენტი ლევან მიქელაძე, მარტის დასაწყისში ირლანდიაში ჩავლენ და 17 წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მინი-ტურნირს გაუძღვებიან. აღნიშნულ შეჯიბრებაში ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას — ირლანდია, იუგოსლავია, კვიპროსი და სლოვენია. აპრილ-მაისში, დანიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჭაბუკებმა დანიის საგზური შარშან ებრაელებისა და ბოსნიელების დამარცხების შემდეგ მოიპოვეს.

ლევან ფანიაშვილი ამჟამად მონაკოში იმყოფება და ფიფას ახლადდამტკიცებული არბიტრების სამდღიან კურსებში მონაწილეობს.

## „სიონის" თბილისური ვოიაჟი

ბოლნისის „სიონი" ერთ-ერთი იმ კლუბთაგანია, რომელმაც უსახსრობის გამო საზღვარგარეთული შეკრება ვერ გაიარა, თუმცა გული გულობდესო... თემურ მახარაძეზე და მის შეგირდებზეა ნათქვამი. გუნდი კარგა ხანია მზადებას შეუდგა, ვარჯიშობს, საწვრთნელ მატჩებსაც მართავს და შემადგენლობასაც ახალი ფეხბურთელებით ავსებს. ამიერიდან გუნდის ღირსებას დაიცავენ რუსთაველები ალექსანდრე ბურნაძე და კახა ალადაშვილი, კვიპროსში მყოფი და საქართველოში მობრუნებული გიორგი ქორიძე. ლანჩხუთელი დავით ხუჭუა და ამჟამად უგუნდოდ დარჩენილი კობა ნინუა. თემურ მახარაძემ გუშინ, გუნდის შეკრება ბრძანა და „სიონიც" დედაქალაქისკენ გამოეშურა. გუნდი თბილისში ,ფაქტობრივად, მოსამზადებელი ციკლის დასკვნით ეტაპს გაივლის და შემადგენლობაც საბოლოოდ დადგინდება.


თემურ მახარაძე

## აზერბაიჯანელები საქართველოში

აზერბაიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო და პერსპექტიული გუნდი „შაფა" საქართველოში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. მეზობლები რამდენიმე საკონტრ..ლო მატჩის გამართვას გეგმავენ. პირვ..ლი შეხვედრა გუშინწინ უკვე ჩაატარეს. „შაფას" მეტოქე რუსთავის „გორდა" იყო. მატჩი ფრედ 0-0 დამთავრდა. აზერბაიჯანელები დღეს თბილისის „დინამო-2"-ს, ზეგ — გორის „დილას", 19 თებერვალს კი — „მერანს" ეთამაშებიან.

ჩვენი მეტოქეები

# შვეიცარიელები ოთხთა ტურნირში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე შვეიცარიის ეროვნული გუნდი კვიპროსელებთან, ჩეხებთან და უნგრელებთან ერთად ოთხთა ტურნირში მონაწილეობდა. შვეიცარიელების მეტოქე პირველ მატჩში მასპინძელი კვიპროსის გუნდი იყო. მატჩი ფრედ დასრულდა. ჩვენი მომავალი მეტოქე დასაწყისში თამაშს აგებდა, მაგრამ იაკინის გოლის წყალობით ანგარიშის გათანაბრება პირველ ტაიმშივე შეძლო. თუმცა, საბოლოოდ მაინც დამარცხდა პენალტების სერიაში 2-4. შვეიცარიამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შტილი, ბ. ჰაასი, ფურნიე, ანშო, მ. იაკინი (ცვისიგი, 46), პ. მიულერი (სელესტინი 46), ლომბარდო (კვენტინი 74), დი ჯორიო (ლონფატი 46), ჰ. იაკინი (ნკუფო 46), ფოგელი, (კაბანასი 68), ფრეი.


კვიპროსი — შვეიცარია

ჩეხებისა და უნგრელების ჰიდილში სლავებმა იმარჯვეს 2-0.

მესამე ადგილისათვის მატჩში შვეიცარია უნგრეთს დაუპირისპირდა და საკმაოდ დამაჯერებლად სძლია — 2-1

შვეიცარია: ბორერი, ცელვეგერი (მაცარელი 46), ბერნერი, მ. იაკინი, პ. მიულერი (ცვისიგი 55), ვიკი, სესა (დი ჯორიო 77), მანინი, ჰ. იაკინი, ფოგელი (სელესტინი 56), ნკუფო (კაბანასი 64). გოლები: 1-0 მანინი (53), 2-0 ჰ. იაკინი (56), 2-1 დიეპეში (81).

ფინალში ჩეხებმა კვიპროსი 4-3 დაამარცხეს და ტურნირიც მოიგეს.

## გაკვეთილი ირლანდიურად

ამხანაგური მატჩი კი იყო, მაგრამ ირლანდია — რუსეთის გუშინწინდელ შერკინებას განსხვავებული, ფსიქოლოგიური ზეწოლის ელფერი მაინც დაჰკრავდა. მიზეზი ადვილი გამოსაცნობია, ორივე გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეა, შემოდგომიდან კი ერთ შესარჩევ ჯგუფში გააგრძელებენ პაექრობას. ამას დავუმატოთ ის, რომ შეხვედრას X შესარჩევი ჯგუფის დანარჩენი გუნდების წარმომადგენლებიც ადევნებენ თვალს. თუმცა, მასპინძლებისთვის სულ ერთი იყო ვინ რას უცქერდა თუ ინიშნავდა. ისინი სლავებს თავიდანვე ეკვეთნენ და პირველი ტაიმის ოც წუთში ყველას დაანახვეს (ირლანდიელებმა მეტოქის კარში ორი უპასუხო გოლი გაიტანეს) ვინ უფრო ძლიერია და ვინ იქნება მომავლისთვის შესარჩევი ჯგუფის უპირველესი ფავორიტი. ასე რომ, დღეს ირლანდიელთა თავკაცი მიკ მაკარტი შესარჩევი მატჩების კალენდრის დასადგენი თავყრილობის მაგიდას ყოჩივით მიუჯდება, ჯერჯერობით ეკუთვნის კიდეც.

ირლანდია – რუსეთი 2-0

ირლანდია: გივენი (დ. კელი 46), ფინანი (მაკატირი 67, ნ. ქუინი 90), ჰარტი (სტონტონი 67), ე. ობრაიენი (ბრიინი 46), კანინგემი (რ. დანი 46), როი კინი (ჰოლანდი 85), რიდი (გ. კელი 46), ჰელი (კარსლი 46), დაფი (კ. მორისონი 46), რობი კინი (სადლერი 67), კილბეინი (მ. კენედი 46).

რუსეთი: ნიგმატულინი, კოვტუნი, ნიკიფოროვი (ჩუგაინოვი 66), ხლესტოვი (დაევი, 90), ალენიჩევი (სემაკი 71), ხოხლოვი (იზმაილოვი 53), ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი.

გოლები: 1-0 რიდი (3), 2-0 რობი კინი (20).

მსაჯი: დ. გალაჰერი (ინგლისი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კიდევ ერთმა ჩვენმა მეტოქემ გაივარჯიშა ოთხშაბათს. ალბანეთის ნაკრები ლუქსემბურგში ჩავიდა და იქაურებთან ნულოვანი ფრე „გააგორა".

ლუქსემბურგი – ალბანეთი 0-0

ალბანეთი: ბექაი, ლალა, ნ. დედე, ჩიპი, ჯუმბა (ფაკაი 46), ჰასი, ა. ჰაჯი, ბელაი, დურო, ბოგდანი (ალიაი 66), ტარე.

# კლუბების საგაზაფხულო სამზადისი

## ქუთაისელთა აზიური ფრე

თურქმენეთში „პრეზიდენტის" თასის გათამაშებაში ქუთაისის „ტორპედომ" პირველი მატჩი გამართა. საქართველოს ჩემპიონის მეტოქე ტალინის „ფლორა" იყო. ქართველების საკმაო უპირატესობის მიუხედავად, მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა. რევაზ ძოძუაშვილმა ესტონელებთან გუნდი ასეთი შემადგენლობით გაიყვანა: ტოგონიძე, მახვილაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, პოროშინი, ბაბუნაშვილი, იონანიძე (გონჩაროვი), ქუთათელაძე (ქამსაშვილი). ქუთაისელებმა ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩი გუშინ უკრაინულ ცსკა-სთან გამართეს.

## ვეტერინარების სლავური საკონტროლო

თურქეთში მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" უკრაინულ გუნდებთან ორი ამხანაგური საწვრთნელი მატჩი გამართა, რომელთაგან ერთი მოიგო, ერთიც წააგო. პირველ შეხვედრაში ადამიას გოლით „ვორსკლა" დაამარცხა, მეორე მატჩი კი, ასევე მინიმალური ანგარიშით თავად დათმო ზაპოროჟიეს „მეტალურგთან". „ვორსკლას" წინააღმდეგ ვიტელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, ფეიქრიშვილი, ზ. მეტრეველი, თედორაძე, ზაზაშვილი, სანიკიძე, მელქაძე, ცქიფურიშვილი; ***შეცვლები:*** არეშიძე, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე, ადამია, გოცირიძე და დ. ლომაია; „მეტალურგთან" ჭიდილისას „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა ასეთი იყო: მამარდაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, მუჯირი, არეშიძე, ლ. ნოზაძე, თედორაძე, გველესიანი, ადამია, გოჩაშვილი, თუთარაშვილი; ***შეცვლები:*** ფეიქრიშვილი, ზ. მეტრეველი, დ. დოლიძე, მელქაძე, იაშვილი, გოცირიძე.

ზაპოროჟიელებთან მარცხს ვიტელებმა გუშინწინ რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდ ჩიტის „ლოკომოტივთან" წაგებაც მიაყოლეს — 0-2.

## „დინამომ" იტალიური „ჩექმა" ვერ მოირგო

ნორჩას საერთაშორისო ტურნირიდან გამოვარდნილმა თბილისის „დინამომ" სიმშვიდე ვერაფრით დაიბრუნა და იტალიური შეკრების ერთ-ერთი ბოლო მატჩიც დათმო ამჯერად პოლონეთის „ზაგლებიესთან" — 0-1.

**დინამო:** მამალაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი (შალამბერიძე), მანწკავა, კარლოსი (სვანაძე), ბურდული, დარასელია (მიკუჩაძე), ანჩაბაძე (მაზიაშვილი), შავგულიძე, ბობოხიძე (სამხარაძე). თბილისელებ.. შინ 18 თებერვალს დაბრუნდებიან.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ამხანაგური მატჩები

***ბელგია — ნორვეგია 1-0***
ტანგე (82)
***გერმანია — ისრაელი 7-1***
0-1 კანი (27 საკ კარში), 1-1 კლოზე (49), 2-1 კლოზე (51), 3-1 ჰამანი (62), 4-1 კლოზე (64), 5-1 ბირჰოფი (69), 6-1 ასამოა (75), 7-1 რიკენი (80).
***ჰოლანდია — ინგლისი 1-1***
1-0 კლიუვერტი (25), 1-1 ვასელი (61)
***უელსი — არგენტინა 1-1***
1-0 ბელამი (34), 1-1 კრუსი (62)
***ხორვატია — ბულგარეთი 0-0***
***საუდის არაბეთი — დანია 0-1***
სანდი (16)
***საბერძნეთი — შვედეთი 2-2***
0-1 სვენსონი (31), 1-1 ფისასი (54), 1-2 სელაკოვიჩი (64), 2-2 კარაგუნისი (85).
***მექსიკა — იუგოსლავია 1-2***
0-1 კეჟმანი (37), 0-2 მილოშევიჩი (43), 1-2 მენდოსა (75)
***ურუგვაი — კორეა 2-1***
1-0 აბრო (6), 1-1 კიმ დო ჰონი (27), 2-1 აბრო (54)
***პარაგვაი — ბოლივია 2-2***
1-0 კარდოსო (3), 1-1 კოლკე (44), 1-2 ანდავერისი (45), 2-2 სტრუვაი (90).
***ესპანეთი — პორტუგალია 1-1***
0-1 ჟორჟე კოშტა (29), 1-1 მორიენტესი (41).
***იტალია — აშშ 1-0***
დელ პიერო (63)
***საფრანგეთი — რუმინეთი 2-1***
1-0 ვიეირა (1), 2-0 პეტი (27), 2-1 განია (89).
***მალტა — მოლდოვა 3-0***
მალია (35), მალია (54), მიფსუდი (90).
***პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია 4-1***
1-0 კრიშალოვიჩი (6), 2-0 კალიუჟნი (11), 2-1 ლომასი (17), 3-1 კრიშალოვიჩი (68), 4-1 ზევლაკოვი (70).
***თურქეთი — ეკვადორი 0-1***
ტენორიო (64)

ეს შეხვედრა ჩატარდა ჰოლანდიის ქალაქ ბრედაში. მატჩში მონაწილეობა არ მიუღია თურქეთის ნაკრების ლიდერებს: ჰაქან შუქურს, ბურუკს და ემრე ბელოზოღლუს. შეხვედრის დასაწყისი მიმდინარეობდა თურქების უპირატესობით, მაგრამ კარგად თამაშობდა ეკვადორელთა მეკარე ხოსე სევალოსა. პირველი ნახევარი დასრულდა ფრედ 0-0. მეორე ნახევარში თურქთა მწვრთნელმა სენოლ გიუნეშმა მოახდინა 4 შეცვლა. მაგრამ, თურქთა უპირატესობის მიუხედავად, 64-ე წუთზე ეკვადორელი დელაკრუზის ჩამოწოდებულ ბურთს ტენორიომ თავით მიუჩინა ადგილი რუშთუს კარში.

***ჩეხეთი — უნგრეთი 2-0***
კოლუშეკი (7), კოლერი (65).

## საიუბილეო მატჩი

21 აპრილს ერევანში „რაზდანის“ სტადიონზე ჩატარდება მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან სსრკ-ს ვეტერანთა ნაკრები და „არარატი-73“. „დუელი“ ეძღვნება ნიკიტა სიმონიანის 75 წლის იუბილეს. სსრკ-ს ვეტერანთა ნაკრების შემადგენლობაში მიწვეულნი არიან: ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, ვ. გუცაევი, ო. ბლოხინი, ა. მიხაილიჩენკო, ვ. ბელანოვი, ვ. ბესონოვი, რ. დასაევი, გ. იარცევი, ფ. ჩერენკოვი, ი. გავრილოვი, ვ. ხიდიატულინი, ი. გორლუკოვიჩი და სხვები. „არარატი-73“-ში ითამაშებენ: ა. აბრამიანი, ა. კოვალენკო, ნ. მესროპიანი, ე. მარქაროვი, ა. ანდრიასიანი, ნ. კაზარიანი, ნ. პეტროსიანი, ხ. ოგანესიანი, ს. პეტროსიანი, ო. ზანაზანიანი, ლ. იშტოიანი, ს. ბონდარენკო და სხვა.

## ლიბიის მეთაურის შვილი «იუვენტუსში» ვარჯიშობს

ლიბიის სახელმწიფოს მეთაურის მუამარ კადაფის შვილმა ელ-საადიმ ივარჯიშა ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობასთან ერთად. როგორც ცნობილია, კადაფის ოჯახი ფლობს ტურინის გუნდის აქციათა 5,31 პროცენტს. ელ-საადი არის ლიბიის ნაკრებში მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატი, ამიტომ „იუვენტუსში“ ვარჯიში მას წაადგება ნაკრებში თამაშის დროს. ვარჯიშის შემდეგ კადაფიმ მადლობა გადაუხადა მარჩელო ლიპის.










## რუსეთის პრემიერ-ლიგის კალენდარი. 2002 წელი

***I ტური. 8 მარტი***
ლოკომოტივი (მოსკოვი) — ალანია (ვლადიკავკაზი)
შინიკი (იაროსლავი) — სატურნი (რამენსკოე)
სპარტაკი (მოსკოვი) — როსტსელმაში (როსტოვი)
კრილია სოვეტოვი (სამარა) — ურალანი (ელისტა)
***9 მარტი***
ტორპედო (მოსკოვი) — სოკოლი (სარატოვი)
ანჟი (მახაჩყალა) — ზენიტი (სანკტ-პეტერბურგი)
როტორი (ვოლგოგრადი) — დინამო (მოსკოვი)
ცსკა (მოსკოვი) — ტორპედო ზილი (მოსკოვი)

***II ტური. 12 მარტი***
სპარტაკი — შინიკი
ურალანი — ლოკომოტივი
ალანია — კრილია სოვეტოვი
სატურნი — როსტსელმაში
***13 მარტი***
ზენიტი — როტორი
ტორპედო ზილი — ტორპედო
სოკოლი — ცსკა
დინამო — ანჟი

***III ტური. 16 მარტი***
ლოკომოტივი — სატურნი
შინიკი — ალანია
როსტსელმაში — ურალანი
კრილია სოვეტოვი — სპარტაკი
***17 მარტი***
ტორპედო — დინამო
ანჟი — ტორპედო ზილი
როტორი — სოკოლი
ცსკა — ზენიტი

***IV ტური. 22 მარტი***
სპარტაკი — ლოკომოტივი
***23 მარტი***
ურალანი — შინიკი
ალანია — როსტსელმაში
სატურნი — კრილია სოვეტოვი
ზენიტი — ტორპედო
ტორპედო ზილი — როტორი
სოკოლი — ანჟი
დინამო — ცსკა

***V ტური. 30 მარტი***
ლოკომოტივი — სოკოლი
შინიკი — დინამო
როსტსელმაში — ზენიტი
კრილია სოვეტოვი — ტორპედო ზილი
როტორი — სატურნი
ცსკა — ალანი
***31 მარტი***
ანჟი — სპარტაკი
ტორპედო — ურალანი

***VI ტური. 6 აპრილი***
სპარტაკი — როტორი
ალანია — ტორპედო
***7 აპრილი***
ურალანი — ცსკა
სატურნი — ანჟი
ზენიტი — შინიკი
ტორპედო ზილი — ლოკომოტივი
სოკოლი — კრილია სოვეტოვი
დინამო — როსტსელმაში

***VII ტური. 12 აპრილი***
ტორპედო — სპარტაკი
***13 აპრილი***
ლოკომოტივი — დინამო
შინიკი — სოკოლი
როსტსელმაში — ტორპედო ზილი
კრილია სოვეტოვი — ზენიტი
ანჟი — ურალანი
როტორი — ალანია
ცსკა — სატურნი

***VIII ტური. 20 აპრილი***
ურალანი — როტორი
ალანია — ანჟი
სატურნი — ტორპედო
ზენიტი — ლოკომოტივი
სოკოლი — როსტსელმაში
დინამო — კრილია სოვეტოვი
***21 აპრილი***
სპარტაკი — ცსკა
ტორპედო ზილი — შინიკი

***IX ტური. 27 აპრილი***
ლოკომოტივი — შინიკი
ტორპედო — ანჟი
***28 აპრილი***
კრილია სოვეტოვი — როსტსელმაში
ცსკა — როტორი
ურალანი — სატურნი
ალანია — სპარტაკი
სოკოლი — ტორპედო ზილი
დინამო — ზენიტი

***X ტური. 3 მაისი***
ტორპედო ზილი — დინამო
***4 მაისი***
შინიკი — კრილია სოვეტოვი
როსტსელმაში — ლოკომოტივი
ანჟი — ცსკა
როტორი — ტორპედო
სპარტაკი — ურალანი
სატურნი — ალანია
ზენიტი — სოკოლი

***XI ტური. 8 მაისი***
შინიკი — როსტსელმაში
კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი
ტორპედო — ცსკა
როტორი — ანჟი
ალანია — ურალანი
სატურნი — სპარტაკი
ტორპედო ზილი — ზენიტი
სოკოლი — დინამო

***XII ტური. 13 მაისი***
ლოკომოტივი — როტორი
შინიკი — ტორპედო
როსტსელმაში — ცსკა
კრილია სოვეტოვი — ანჟი
სპარტაკი — სოკოლი
ურალანი — ზენიტი
ალანია — დინამო
სატურნი — ტორპედო ზილი

***XIII ტური. 1 ივლისი***
ცსკა — შინიკი
ანჟი — ლოკომოტივი
***2 ივლისი***
ტორპედო — როსტსელმაში
ზენიტი — ალანია
როტორი — კრილია სოვეტოვი
სოკოლი — სატურნი
დინამო — ურალანი
***3 ივლისი***
ტორპედო ზილი — სპარტაკი

***XXV ტური. 5 ივლისი***
ლოკომოტივი — ურალანი

***XIV ტური. 9 ივლისი***
ლოკომოტივი — ცსკა
შინიკი — ანჟი
როსტსელმაში — როტორი
კრილია სოვეტოვი — ტორპედო
ურალანი — სოკოლი
ალანია — ტორპედო ზილი
სატურნი — დინამო
***10 ივლისი***
სპარტაკი — ზენიტი

***XV ტური. 15 ივლისი***
ცსკა — კრილია სოვეტოვი
დინამო — სპარტაკი
***16 ივლისი***
ტორპედო — ლოკომოტივი
ანჟი — როსტსელმაში
როტორი — შინიკი
ზენიტი — სატურნი
სოკოლი — ალანია
***17 ივლისი***
ტორპედო ზილი — ურალანი

***XXV ტური. 20 ივლისი***
შინიკი — სპარტაკი

### მეორე წრე

***XVI ტური. 23 ივლისი***
ლოკომოტივი — ანჟი
შინიკი — ცსკა
როსტსელმაში — ტორპედო
კრილია სოვეტოვი — როტორი
ურალანი — დინამო
ალანია — ზენიტი
სატურნი — სოკოლი
***24 ივლისი***
სპარტაკი — ტორპედო ზილი

***XVII ტური. 28 ივლისი***
ცსკა — ლოკომოტივი
***29 ივლისი***
ტორპედო — კრილია სოვეტოვი
ანჟი — შინიკი
როტორი — როსტსელმაში
სოკოლი — ურალანი
დინამო — სატურნი
***30 ივლისი***
ზენიტი — სპარტაკი
ტორპედო ზილი — ალანია

***XVIII ტური. 2 აგვისტო***
ლოკომოტივი — ტორპედო
***3 აგვისტო***
შინიკი — როტორი
როსტსელმაში — ანჟი
კრილია სოვეტოვი — ცსკა
სპარტაკი — დინამო
ურალანი — ტორპედო ზილი
ალანია — სოკოლი
სატურნი — ზენიტი

***XIX ტური. 7 აგვისტო***
როტორი — ლოკომოტივი

***XXVIII ტური. 7 აგვისტო***
სპარტაკი — ანჟი

***XIX ტური. 9 აგვისტო***
ცსკა — როსტსელმაში
***10 აგვისტო***
ტორპედო — შინიკი
ზენიტი — ურალანი
დინამო — ალანია
***11 აგვისტო***
ანჟი — კრილია სოვეტოვი
სოკოლი — სპარტაკი
ტორპედო ზილი — სატურნი

***XX ტური. 16 აგვისტო***
სპარტაკი — ალანია
***17 აგვისტო***
როსტსელმაში — კრ. სოვეტოვი
ანჟი — ტორპედო
როტორი — ცსკა
სატურნი — ურალანი
ზენიტი — დინამო
***18 აგვისტო***
ტორპედო ზილი — სოკოლი
შინიკი — ლოკომოტივი

***XXI ტური. 24 აგვისტო***
ლოკომოტივი — როსტსელმაში
კრილია სოვეტოვი — შინიკი
ტორპედო — როტორი
ცსკა — ანჟი
ალანია — სატურნი
სოკოლი — ზენიტი
დინამო — ტორპედო ზილი
***25 აგვისტო***
ურალანი — სპარტაკი

***XXII ტური. 31 აგვისტო***
სპარტაკი — სატურნი
დინამო — სოკოლი
***1 სექტემბერი***
ლოკომოტივი — კრ. სოვეტოვი
როსტსელმაში — შინიკი
ანჟი — როტორი
ცსკა — ტორპედო
ურალანი — ალანია
ზენიტი — ტორპედო ზილი

***XXIII ტური. 10 სექტემბერი***
ტორპედო — ზენიტი
***11 სექტემბერი***
შინიკი — ურალანი
როსტსელმაში — ალანია
კრილია სოვეტოვი — სატურნი
ანჟი — სოკოლი
როტორი — ტორპედო ზილი
ცსკა — დინამო
***12 სექტემბერი***
ლოკომოტივი — სპარტაკი

***XXIV ტური. 21 სექტემბერი***
როსტსელმაში — სპარტაკი
ურალანი — კრილია სოვეტოვი
ალანია — ლოკომოტივი
სატურნი — შინიკი
ზენიტი — ანჟი
სოკოლი — ტორპედო
დინამო — როტორი
***22 სექტემბერი***
ტორპედო ზილი — ცსკა

***XXV ტური. 28 სექტემბერი***
როსტსელმაში სატურნი
კრილია სოვეტოვი — ალანია
ტორპედო — ტორპედო ზილი
ანჟი — დინამო
როტორი — ზენიტი
ცსკა — სოკოლი

***XXVI ტური. 6 ოქტომბერი***
სპარტაკი — კრილია სოვეტოვი
ურალანი — როსტსელმაში
ალანია — შინიკი
სატურნი — ლოკომოტივი
ზენიტი — ცსკა
ტორპედო ზილი — ანჟი
სოკოლი — როტორი
დინამო — ტორპედო

***XXVII ტური. 26 ოქტომბერი***
ლოკომოტივი — ტორპედო ზილი
შინიკი — ზენიტი
როსტსელმაში — დინამო
კრილია სოვეტოვი — სოკოლი
ტორპედო — ალანია
ანჟი — სატურნი
როტორი — სპარტაკი
***27 ოქტომბერი***
ცსკა — ურალანი

***XXVIII ტური. 2 ნოემბერი***
ურალანი — ტორპედო
ალანია — ცსკა
სატურნი — როტორი
ზენიტი — როსტსელმაში
სოკოლი — ლოკომოტივი
დინამო — შინიკი
***3 ნოემბერი***
ტორპედო ზილი — კრილია სოვეტოვი

***XXIX ტური. 10 ნოემბერი***
ლოკომოტივი — ზენიტი
შინიკი — ტორპედო ზილი
როსტსელმაში — სოკოლი
კრილია სოვეტოვი — დინამო
ტორპედო — სატურნი
ანჟი — ალანია
როტორი — ურალანი
ცსკა — სპარტაკი

***XXX ტური. 17 ნოემბერი***
სპარტაკი — ტორპედო
ურალანი — ანჟი
ალანია — როტორი
სატურნი — ცსკა
ზენიტი — კრილია სოვეტოვი
ტორპედო ზილი — როსტსელმაში
სოკოლი — შინიკი
დინამო — ლოკომოტივი

გვერდი მოამზადა
**ვეფხვია ჯალაღონიამ**



# კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## II წრე

*12 თებერვალი*
*ბასკო — სტუ-ჭეოხელი 82:61*

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 12 | 11 | 1 | 1134:789 | 23 |
| აზოტი | 12 | 10 | 2 | 963:786 | 22 |
| დინამო | 12 | 9 | 3 | 1044:850 | 21 |
| სტუ-ჭეოხელი | 11 | 7 | 4 | 934:806 | 18 |
| თსუ | 11 | 6 | 5 | 854:842 | 17 |
| მაკაბი | 11 | 5 | 6 | 923:998 | 16 |
| შევარდენი | 12 | 3 | 9 | 772:953 | 15 |
| სსუ | 11 | 1 | 10 | 701:937 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 0 | 12 | 795:1159 | 12 |

# NBA ნბა




***შარლოტი — ჩიკაგო 113:91***
*შარლოტი:* ნეილონი (24), დევისი (18+12 გადაცემა), მაგლოირი (17+10 მოხსნა). *ჩიკაგო:* გაიტონი (19), რობინსონი (14).

***მაიამი — ორლანდო 112:95***
*მაიამი:* ჯონსი (24), მოურნინგი (18), გრანტი (15)
*ორლანდო:* მაკგრეიდი (26), გერიტი (25)

***ნიუ იორკი — ტორონტო 89:82***
*ნიუ იორკი:* ტომასი (19), სპრიუელი (14), ჰიუსტონი (13)
*ტორონტო:* კლარკი (26+15 მოხსნა), პეტერსონი (25)

***მილუოკი — კლივლენდი 107:115***
*მილუოკი:* რობინსონი (32), ალენი (27)
*კლივლენდი:* პერსონი (33), მილერი (27+19 გადაცემა), მიურეი (22)

***მინესოტა — ფინიქსი 107:92***
*მინესოტა:* გარნეტი (33+13 მოხსნა), სმიტი (19+10 მოხსნა)
*ფინიქსი:* მერიონი (24+15 მოხსნა), მარბერი (15+11 გადაცემა)

***პორტლენდი — დალასი 114:103***
*პორტლენდი:* უოლასი (24), უელსი (22), სტუდმაიერი (19)
*დალასი:* (ნოვიცკი (27), ჰოვარდი (19), ჰარდუეი (19).

***გოლდ. სტეიტი — ბოსტონი 92:75***
*გოლდ სტეიტი:* ჯემისონი (27), რიჩარდსონი (19+10 მოხსნა)
*ბოსტონი:* პირსი (30+11 მოხსნა), უოკერი (13+12 მოხსნა).







## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 32 | 16 | 66,7 |
| ბოსტონი | 29 | 22 | 56,3 |
| ვაშინგტონი | 26 | 22 | 54,2 |
| ფილადელფია | 25 | 24 | 52,0 |
| ორლანდო | 26 | 25 | 50,9 |
| ნიუ-იორკი | 20 | 29 | 40,8 |
| მაიამი | 19 | 29 | 39,6 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 28 | 20 | 58,3 |
| ტორონტო | 29 | 23 | 55,8 |
| დეტროიტი | 26 | 22 | 54,2 |
| ინდიანა | 25 | 16 | 49,0 |
| შარლოტი | 24 | 25 | 48,3 |
| ატლანტა | 17 | 33 | 34,0 |
| კლივლენდი | 17 | 33 | 34,0 |
| ჩიკაგო | 12 | 37 | 24,4 |

## დასავლეთის კონფერენცია

### შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 36 | 15 | 70,5 |
| მინესოტა | 34 | 16 | 68,0 |
| სან ანტონიო | 31 | 18 | 63,3 |
| იუტა | 26 | 24 | 52,0 |
| ჰიუსტონი | 17 | 33 | 34,0 |
| დენვერი | 14 | 32 | 30,4 |
| მემფისი | 14 | 36 | 28,0 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 38 | 12 | 76,0 |
| ლეიკერსი | 34 | 13 | 72,3 |
| პორტლენდი | 26 | 23 | 53,0 |
| სიეტლი | 25 | 24 | 51,0 |
| ფინიქსი | 25 | 25 | 50,0 |
| კლიპერსი | 25 | 26 | 49,0 |
| გოლ. სტეიტი | [illegible] | 32 | 31,9 |

# COPA TOYOTA LIBERTADORES 2002

## ლიბერტადორესის თასი

დაიწყო ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეორე ტურის შეხვედრები:

### I ჯგუფი:

*სან კაეტანო (ბრაზილია) — ალიანსა ლიმა (პერუ) 4-0*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან კაეტანო | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| კობრელოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| სერო პორტ. | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ალიანსა ლიმა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |

### II ჯგუფი:

*ორიენტ პეტროლერო (ბოლივია) — სენსიანო (პერუ) 3-1*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| სენსიანო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| პეტროლერო | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 12 დე ოქტუმ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### VI ჯგუფი:

*ბოკა ჰუნიორსი (არგენტინა) — სანტიაგო უონდერსი (ჩილე) 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონტევიდეო უონდ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ბოკა ჰუნიორსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სანტიაგო უონდ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ემელეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

# ჯორკაეფი — „ბოლტონში"

საფრანგეთის ნაკრებისა და გერმანიის „კაიზერსლაუტერნის" ნახევა-




რმცველი იური ჯორკაეფი ინგლისის „ბოლტონში" გადავიდა. 33 წლის ამ ფეხბურთელმა 3 წელი გაატარა გერმანულ კლუბში, მაგრამ უკანასკნელ დროს ის ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, ამიტომაც არჩია გუნდის გამოცვლა. შეგახსენებთ, ჯორკაეფი მანამდე გამოდიოდა საფრანგეთის გუნდებში: „გრენობლში", „სტრასბურში", „პსჟ"-ში და დიდი წარმატებით თამაშობდა „მონაკოში". შემდეგ გამოდიოდა იტალიის „ინტერში" და ბოლოს გერმანულ „კაიზერში".

# საერთაშორისო ტურნირი ჰონკონგში

**ჰონკონგში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ოთხი ნაკრების მონაწილეობით. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ:**

***სლოვენია — ჰონდურასი 1-5***

0-1 სოლ მარტინესი (39), 1-1 ზაჰოვიჩი (52 პენ), 1-2 სოლ მარტინესი (58), 1-3 სოლ მარტინესი (69), 1-4 სოლ მარტინესი (72), 1-5 კრისტიან მარტინესი (90).

***ჰონკონგი — ჩინეთი 1-1 (4-3 პენ)***

0-1 გენვეი იუ (64), 1-1 ფილო (70)

დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრა: ჰონკონგი და ჰონდურასი.

# თქვენ და 2002 წელი ● ჰოროსკოპი



**მერწყული.** მთელი 2002 წლის განმავლობაში პროფესიულ საქმიანობაში ბრწყინვალე წარმატებები გელით. თქვენს ზოდიაქოსთან მთელი ამ ხნის მანძილზე პლანეტები ჰარმონიაში იქნებიან, რაც მეტწილად გამოიხატება აღმაფრენაში, თუმცა მოსალოდნელია გრძნობების დაქვეითებაც. თქვენი კარგი განწყობა მთლიანად დამოკიდებული იქნება პროფესიულ შედეგებზე. მეტად მგრძნობიარე შეიძლება იყოთ კრიტიკისადმი, თუნდაც იგი სამართლიანი იყოს. წლის მეორე ნახევარში მოულოდნელი საჩუქრებით გაიხარებთ. ზოგიერთს წარუმატებლობაც ელის განუხორციელებელი პროექტის, გარიგების ან უბრალოდ, ჩანაფიქრის გამო. თებერვლის მეორე ნახევარში იღბლიან გადაწყვეტილებებს მიიღებთ, რაც შეიძლება ცხოვრების სტილის შეცვლის საფუძველიც გახდეს. ეცადეთ გაუმკლავდეთ მოსალოდნელ სტრესებს, გრძნობებს ნუ აყვებით.

იღბლიანი დღეებია: 1, 2, 6, 7, 15-17, 20-22; ნავსიანი – 3-5, 10-12, 18, 19.

მთვარის ზემოქმედებით ამაღლებული ტონუსი გექნებათ შემდეგ რიცხვებში: 1, 2, 5, 6, 15, 16, 20; დაქვეითებული – 3, 18.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 თებერვალი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40), ***EUROSPORT.*** სოლტ-ლეიკ-სიტი (6.00-დან, 5.00), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.50), „იაპონია და კორეა-2002" (21.00), „მსოფლიო ფეხბურთი" (5.25), ***НТВ плюс спорт.*** სოლტ-ლეიკ-სიტი (10-დან, 7.45).

**16 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – რუსთავის „აზოტი" (16.10), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.40), ***EUROSPORT.*** სოლტ-ლეიკ-სიტი (6.00 დან, 4.45), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (19.30), „შაბათს საღამოს" – იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი, რეპორტაჟი (23.25, 1.35), ***НТВ плюс спорт.*** სოლტ-ლეიკ-სიტი (10-დან, 9.10)

**17 თებერვალი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „მაკაბი" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (17.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.40), „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30), ***EUROSPORT.*** სოლტ-ლეიკ-სიტი (6.00 – 1.00), ***НТВ плюс футбол.*** „იაპონია და კორეა"-2002" (15.15), „მსოფლიო ფეხბურთი" (18.00), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (18.30), გერმანიის ჩემპიონატი (20.25), „მსოფლიო ფეხბურთი" (22.20), იტალიის (23.25), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** სოლტ-ლეიკ-სიტი" (10-დან-9.00).




# კროსვორდი № 12

**ჰორიზონტალურად:** 5. ის, რაზედაც ჭადრაკის ფიგურები ლაგდება, 7. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია, 8. გერმანიის ქალაქი, 9. დიდი „ჩაქუჩი", 11. შვეიცარიული საფეხბურთო კლუბი, 12. ქართველი ვეტერანი მოჭიდავე, 14. ნბა-ს კლუბი, 16. ყაიმი ანუ... 17. ინგლისელი მოჭადრაკე, 19. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ფეხბურთში, 20. არგენტინელი ფეხბურთელი, 21. ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 22. ტურნირის გამარჯვებული.

**შვეულად:** 1. ინგლისელი ფეხბურთელი, 2. ახალბედა, ანუ... 3. გერმანული საფეხბურთო კლუბი, 4. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავი, 6. რომაულ მითოლოგიაში ბედ-იღბლის ღვთაება, 10. საქართველოს ზამთრის კურორტი, 13. საქართველოს ქალაქი, 15. ძიუდოს გასამართი ადგილი, 18. იაპონელი მოჭიდავე.

## კროსვორდი №11-ის პასუხები

**თარაზულად:** 3. ქორქიკაშვილი, 7. ნურმი, 8. ოქრო, 11. არე, 12. ანა. 14. პლატინი, 15. კროლი, 16. აგენტი, 17. „ბოლონია", 18. კრუიზი. **შვეულად:** 1. „ორერა", 2. ზიკო, 3. ქინოლა, 4. კუ, 5. „შარლოტა", 6. იორლა, 9. „დერბი", 10. უნაგირი, 13. „აპოელი".



## იუმორი



## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(ს. კარდენახი)



<u>შამათი 2 სვლაში</u>

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლb2! 1. ...მფ:d8 2. ლb8X.
1. ...მფc6 2. ეc8X.

რედაქტორის მაგიერ თენგიზ ჩობანიძე